

ივერი

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებებთან დასაბუჯად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამოვრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ — 8 კაპ.

„ივერი“ ტელეფონი № 227

„ივერი“ ტელეფონი № 227.

**უკვლად-საგვდალუ იმარეთის პეისოპოსის
გაბრიელის** გვამის გულათის მოწმობის დასაბუჯად
და დაკრძალვა ღირსის თოვლბაისა და უზოგობის გვამო 10
მარტისათვის იქნა გადადგენილი.

პაგიდასი პილიოს პაიბთა
3. ი. პიბინაძისა და მ-ნის მს. ღ.
ილაკიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუხის, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დღის 9—3
და საღამოს 4—7 საათამდე.

ტფილისი, 22 თებერვალი.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვერდია,
რომ ბურჟუას სამინისტრომ სიცოცხლის
შნა გამოიჩინა. ეს ასეც უნდა
და ყოფილიყო, რადგან რადიკალთა
დასი პროგრესის გზაზედ იდგას და
ისეთი საგნები აქვს მოქმედების
აზრად, რომელნიც აუცილებლად
უნდა იქმნენ შესრულებულნი.
შეიძლება დღეს ან ხვალ არ აღუ-
სრულდესთ რადიკალთ თავიანთი
წადილი, მაგრამ უკვე იქნა, რომ
ახლოს მომავალში აზრი განუზო-
ციელდება.

თუ უმეტესობა პარლამენტისა
(ოპორტუნისტები) მაინც და მაინც
ღირსის სიმბატიით არ ეკიდება ამ
სამინისტროს, ეშინია მაინც მისი,
და უმრავლესობა ხალხისა ხომ გულ-
წრფელს თანაგრძობას უცხადებს
ეხლანდელს მთავრობას. პრეზიდენტ-
მა ფორმა კარგად შეიგნო ხალხის
სურვილი, დროსა და გარემოების

ფელეტონი

ნადირობა
(სასცენო მონოლოგი გადმოღებულია).
ნადირობა... ყველა ჩქარობს და
ემზადება...
ძაღვები ყუფენ, ბაზიერნი ხმას იძ-
ლევიან,
ისმის გრიალი თოფებისა... ჩუ, ება-
რება
ვიღაც მელიას... სხვები ტბილად
იღიმებიან...
ორი კვირაა სანადიროდ, რომ წა-
მოვედი
და სანადირო ჩემი ჩანთა მაქვს ცა-
რიელი!
რათა და როგორ? ვალაობდა ეს
ჩვენი ქელი—
და ნადირთ გროვის არ იკარებს ეს
ტყე და ველი?
სრულებით არა! აქ ნადირი ბევრზედ
ბევრია!.
იქნება მითხრა: „მეგობარო სროლა
არ იცა“.
აბა რას ბრძანებთ!—ქვეყნად და ცად
ასე სწერია,

მოთხოვნილება. დიდი გამჭრიახობა
გამოიჩინა და შესაფერი რაინდული
პატიოსნებაც პრეზიდენტმა, რომ
რადიკალთა სამინისტრო აირჩია და
უკანასკნელი აყალ-მყალის დროს
სრულად დამოუკიდებლობა დაიცვა.
უკანასკნელს დროში ბურჟუას სა-
მინისტრომ, სწორედ, რომ სახელო-
ვანად გაიმარჯვა: სენატმა ორჯერ
გამოუცხადა უკმაყოფილება და პარ-
ლამენტმა-კი ორჯერ ნდობა დაუშ-
ტკიცა სამინისტროს. სამინისტრო-
მაც, რაკი პარლამენტი მხარს აძლე-
ვდა, სენატის უკმაყოფილებას ყურა-
დღებაც არ მიჰქცია.

სენატს რაღა უნდა ექნა იმის მე-
ტი, რომ მაღალ-მაღლის ფრაზებით
თავი მოიკატუნა და შერცხვენილმა
განაცხადა, ჩვენ არ გვინდა შევწყვი-
ტოთ პოლიტიკური მსვლელობა
ქვეყნისა და ამიტომ სამინისტროს
აღარ ვედავებთო. სხვა გზა აღარც-
კი ჰქონდა სენატს, უნდა დამორჩი-
ლებულიყო. კონსტიტუციის მუხ-
ლებს რომ შეზებოდა, მაშინვე კონ-
სტიტუციის გადანიშნავს მოთხოვ-
ნენ, ეს-კი მეტად მძიმე საქმე იქ-
ნებოდა. დაეთხოვა სენატს პარლა-
მენტი, სამინისტრო რადიკალებს ეკუ-
თვნოდა, არჩევანთა ხელმძღვანელო-
ბა მათ ხელში იქმნებოდა და ცუ-
დად წავიდოდა ოპორტუნისტების

რომ მსროლელთ შორის პირველი
ვარ, არ უნდა ფიცი.
„მაშ, რად არა ჰქალავთ“—ეპ, ბა-
ტონო, საქმე ის არის,
რომანადირნი და პირუტყენი მეცო-
დებიან,
მათი სიკვდილი—ჩემთვის გლოვა და
ზარი არის,
მათდა სატირლად ორთავ თვალნი
მეცრემლებიან!..
ჰა, აგერ ხედავთ—ყურწაწყობით
მორბის ყურდღელი,
იქით შეხედეთ, — შველს კისერი
გამოუყვია;
აი, ჩემთ თვალთ-წინ ზის ლამაზი,
უცხო ფრინველი,
აგერ ქურციკი ტყისკენ მიჰქრის,
როგორცა ტყვია!..
კაცო, რას ელი მოიპარჯვე შენც
თოფი ხელში
და რომელსამე ე მავათგანს ჰკარი
გულ-მკერდში!
არ შემიძლია! ხელი ხელი, მემეურ-
ნება:
ვიცი—სახლობა ამთააც ჰყავთ—
ოსხრად დარჩება
ცოლი, დედ-მამა და საწყალი სუსტი
შვილები
სიმამრ-სიდღერი და პაწია—შვილი-
შვილები!..

საქმე. ეკვი არ არის ახალი არჩევ-
ნების შედეგი ის იქმნებოდა, რომ
უმეტესობა რადიკალებს ეყოლებო-
და პარლამენტში.

ეს ასეა, მაგრამ ოპორტუნისტები
მეტად გამწვავდნენ და სურვილიცა
აქვთ სამინისტრო პირველს შემთხვე-
ვაშივე დაამხონ. უკეთესი დრო ამი-
სათვის რომელიღა ექნებოდა, თუ არ
ის, როდესაც სამინისტრო წარად-
გენს პროექტს შემოსავლის კვა-
ლობაზედ დაწესებულ გარდასახა-
დის შესახებ. კიდევაც გვაქვს
საბუთი წარმოვიდგინოთ, რომ სა-
მინისტრო შეიძლება დამარცხდეს
ამ პროექტის გასინჯვის დროს. დე-
პუტებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ
საბიუჯეტო კომისიისაში მკვიდრად 29
წინააღმდეგიათ ამ პროექტისა და
4-იც მაინცა და მაინც დიდი
მომხრე არ არისო. ეს თუმც
კიდევ არ ნიშნავს, რომ პარლამენ-
ტის უმეტესობა უთუოდ წინააღმდე-
გი იქმნება, მაგრამ მაინც მოსალო-
დნელია.

აქედამ დიდი არა გამოვა-რა. შეი-
ძლება გადიდვას კიდევ ამ პროექ-
ტის სისრულეში მოყვანა ერთი ორი
წლით, თუ გნებავთ, ხუთით, სულ
რომ ბევრი ვსთქვა.

საინტერესო უკანასკნელ შემთხვე-
ვებში ის არის, რომ რადიკალთა
სამინისტრო დიდი ძალით აღჭურვი-
ლი გამოდგა: სენატთან შებრძოლე-
ბიდან გამარჯვებული გამოვიდა. სა-
ეკვია პრეზიდენტმა ასეთის ძლიე-
რი სამინისტროს მოადგილე მოიპო-
ვოს, თუ პარლამენტის გარდაწყვე-
ტილებით ბურჟუამ სამსახურს თავი
დაანება და შეიძლება ერთი ორი
თვის მოსვენების შემდეგ ისევ მას

რა გეცინებათ? სირცხვილია, დემროს
გეფიცებით!
რად დაგავიწყდათ თანაგრძობა და
სიბრალული?—
ვისთქვათ ნადირია, მაგრამ მასაც
წრფელის გრძობებით
სახლობისადმი სავე დააქვს სული
და გული.
აბა, ვნახავდი ერთი მაშინ გაიცინე-
ბდით,
თუ ცხარე ცრემლით, გულ-ამოკვ-
ნით იქვითინებდით,
რომ მე მომეკლა ის-კი არა, უმწე,
უძალი,
რამედ მამა, ანუ დედა თქვენი, სა-
ბრალი!?
ისიც მამა, ანუ დედა, დედა მშო-
ბელი,
მათაც შვილთათვის სდის ცრემლები
შეუშრობელი!..
ნუ, ბატონებო, გზას ნუ ვუქცევთ
მტკიცე სამართალს,
სხვისი სიკვდილი ნუ გვგონია ფარა
და გროში:
არავინ იცის—თავის ცოლ-შვილს
სიყვარულის ძალს
ვინ უფრო ჰსწირავს დახანებულს
ესლა ჩვენს დროში:
აღამიანი, თუ ოთხფეხი, თუ ჩიტ
ტყისა,

ჩააბარონ მთავარ მინისტრობა, თუ
პარლამენტი არ იქმნა დათხოვნილი.
კიტა.

ახალი ამბავი

* ქართულ დრამატიულ საზო-
გადოების გამგეობას გარდაუწყვეტია
დაუნიშნოს ჯამაგირი ამ არტისტებს,
რომელნიც მხოლოდ არტისტულის
მოღვაწეობით ინახავენ თავს და
რომელთ სეზონის დასრულებიდან
მეორე სეზონამდე სხვა სახსარი ცხო-
ვრებისა არა აქვთ-რა. ჯამაგირების-
თვის გადაღებულია 1120 მანეთი.
ეს გარდაწყვეტილება წარედგინება
დასამტკიცებლად დრამატიულ საზო-
გადოების საზოგადო კრებას, რომე-
ლიც მალე იქნება მოწვეული.
* პეტერბურგიდან ტფილისში
დღემშამოვიდა ზოგიერთი, რომლით
იტყობინებიან, რომ პეტერბურგის
ქართველობას განუზრახავს დაარსოს
კომიტეტი პეტერბურგშივე ქუთაისის
გუბერნიისაში დახარალებულთა დახმ-
არებისთვის. ამის გამო უშამდგომლო-
ბა წარედგინა მთავრობას.

* კვირას, 25 თებერვალს, თა-
ვად-აზნაურთა თეატრში მ. ა. ბა-
ლანჩივაძე გამართავს ქართულს კო-
ნცერტს. მომღერალთა გუნდი, სხვა
სიმღერებს შორის, შეასრულებს ბა-
ლანჩივაძისაგან ახლად დაწერილს
სივარდის სიმღერებს. თვით ბალანჩი-
ვაძე იმღერებს თავის ახალ რომანს:
„ოდესაც გიციქერ“ (გრ. აბაშიძის
სიტყვებს). გარდა ამისა მომღერალთა
გუნდი იმღერებს ბალანჩივაძის მიერ
დაწერილს სიმღერას: „ნანაო“, სა-

თუმც უსწავლელი, მაგრამ მქონე
სწორის გრძობისა!..
მე არ მინახავს, რომ მერცხალმა
თავის შვილები
ძიძას, ან გამდელს ჩააბაროს აღსაზრ-
დელადა;
ჩვენში-კი სულ სხვებს აბარებენ ჩვენი
ცოლები
და კულ-გაბზეკით მიმობიან ტყელ
და ველადა...
აბა, ვინახავთ, რომ დედალს შაშვს,
ანუ სხვა ფრინველს,
თავისი ქმარი გადაეღობოს, როგორცა
წებო,
ანუ სულ ყინით, პრანკვა-გრებით,
როგორცა ქრელს გველს
ის მოეშხამოს, როგორცა თქვენ—
ქალბატონებო!?
და ჩვენს შორის-კი არც ოთხფეხი
და არცა მგელი,
არც პირუტყენი ვართ მამა-კაცი
შთამომავლობით,
მაგრამ ჯიხვს არ აქვს იმოდენა რქე-
ბის უღელი,
რამოდენიც ჩვენ, ჰა, აქ თავზე,
თქვენის წყალობით!..
ნუ გეცინებათ! ჯიხვის რქები მე-კი
არა მაქვს,
არამედ იმას, ვინც გაბრწყინდა, ვისაც
ცოლი ჰყავს.

დაც სოლოს ბ. რატილი შეეს-
რულებს. იმედია ჩვენი საზოგადოება
უთუოდ დაესწრება ამ კონცერტს,
რადგანაც თითქმის სულ ახალი სიმ-
ღერებია ამ კონცერტისათვის დანი-
შნული.

* როგორც კავკასიის რკინის
გზის სხვა-და-სხვა სადგურებში იუ-
წყებიან ბათუმისაკენ თოვლი ნელ-
ნელა დნება ჯერ-ჯერობით.
* საერო განათლების მინისტრის
მინდობილობით პროფეს. თავადი ი.
რ. თარხან-მოურავი შეიღი ინგლისის
იყო გაგზავნილი, სადაც იგი ჰკრებ-
და ნამდვილს და საქირო ცნობებს
ქალების უმადლეს განათლების შე-
სახებ; მას აგრეთვე ჰქონდა დავალებ-
ბული შეეკრება ცნობები ოქსფორ-
დისა და კემბრიჯის უნივერსიტეტ-
ბის კოლექციებისა.

* როგორც გვიხსნის, ტფილი-
სის მზრახვი გარდასახადების ინსპექ-
ტორად დაუნიშნავთ ილ. ჩიქოვანი.
* როგორც გახეთები იუწყები-
ან, სამეურნეო და სახელმწიფო ქო-
ნებათა სამინისტრო ამ ზაფხულს
შეუდგება თურმე ეგრედ წოდებუ-
ლის მცენარის „რამის“ (ჩინეთის
ქინქარია) მოშენებას კავკასიაში; ამ
მცენარეადამ ისეთი მშვენიერი და
ძვირფასი ქსოვილები თურმე კეთდე-
ბა, რომ აბრეშუმს არაფრით ჩამოუ-
ვარდება.

* როგორც სამეგრელოდამა
გვწერენ, საზარელი ამბავი მომხდარა
იქით. იქაურ ცხვრის პატრონებს
წრფელს ჩვეულებრივად ცხვარი წა-
უსხამთ მთაში, რადგანაც ჰგონებიათ
მშრალი ზამთარი იქნებოა; მაგრამ
როგორც ხმა გაგრცელებულა, სოფ.
ბარდის (სენაკის მაზრაში) მეცხვა-
რებს, რიცხვით ათამდე, თოვლის

მე უცოლო ვარ და საცოლოს, ანუ
და სხვა ქალს
ისე ვაფურბი, ვით გენიას, ჯოჯო-
ხეთის ალს!
ან თუ გინახავთ ლალა ჩიტი სადმე
დუქანში
ჩვენებრ მხეცურად მთელი კვირა,
რომ ღრიალებდეს,
სვამდეს, ლოთობდეს, თამაშობდეს,
ფორთხვით ლოგინში
გონება ხშული, უენ-აზრო ჩაგო-
დებოდეს?
არა, ბატონო! სულ ამგვარი ბილწი
ცხოვრება,
ჩხუბი და შფოთი ლალა ჩიტსა-კი
ეჯავრება!..
თუ მოსწრებიხართ რომ კაკაბი, რო-
ცა მთელს ქალაქს
სიამით სძინავს საქმით, შრომით ძაღ-
მიღებულსა
ეტლშიდა იჯდეს, ღრიალებდეს და
უგზურს სალამს
ბილწის ღიღინით მიუძღვნდეს ვის-
მე ასულსა?
გაგიგონიათ ტყის ქათამა ქრთამი
აქროს?
ანუ და მგელმა, სადეთაც ჰსურს,
ბურთი წილოს?
ანუ ბელურამ მოგატყუოს, არ სთქვას
მართალი?

ზვავი დასცემიათ და ქვეშ მოკ. ყოლიან მთელი ფარა ცხვრით-სოფელში მესამე დღეს შეუტყვიათ ეს ამბავი, შეკრებილა ორმოცამდე კაცი და თხილამურებით ასულან მთაზე, გადაუსერიათ თოვლი, სადაც ბინა ჰქონიათ მცხვარებებს, და ყველანი დამჩვალნი უნახავთ.

* * * სამეგრელოდამე გვეწერენ, სოფ. კინხილამ, რომ იქ ორ საუენამდე თოვლი დაუდგია; მეგრე როდესაც თოვლი გამდნარა, წამოსულა ზვავი და ოთხი სახლი წაუღია, ერთი-კი ფიცრულითა შუაზე გადაუმტვრევია. სოფელელებს დაუწყიათ ძებნა დაღუპულებისა და ოცამდე დამჩვალნი აღამიანი აღმოუჩენიათ. ერთი სიტყვით, დიდი უბედურება გვეწვია და ასე უნუგეშოდ-კი ვართ დატოვებულნი, გვეწერენ. ერთს დღეს სოფ. ჯვარის ეკლესიაში, მაგალითად, ოცამდე მიცვალბული ესვენაო.

* * * ჯუმათილამ გვეწერენ: რაც განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების ამბავი შეიტყეთ — იმ დღილამ ყოველ მესამე დღეს პანაშვიდს ვიხდით ჯუმათის მონასტერშიო.

* * * წყაღ-წმიდა: ჩვენმა უდაბურ წყაღ-წმიდის ძმობამაც გარდაიხდა პანაშვიდი განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად.

* * * ს. ნაფარეულში (თელავის მაზრა): 4 თებერვალს, კვირას, წირვის შემდეგ გარდახდნილ იქნა პანაშვიდი ნეტარ-ხსენებულის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის სულის მოსახსენებლად აღგილობრივის მღვდლის მიხეილ ვარდიავილის და ს. ართონის მღ. არსენ ფხალაძის მიერ. როგორც წირვაზედ აგრეთვე პანაშვიდზედ მრავალი ხალხი დაესწრო, როგორც აქაურნი მკვიდრნი, აგრეთვე მრავალნი გარეშე პირნიც. მღ. ვარდიავილიმა წარმოსთქვა გრძობითი სიტყვა განსვენებულის მწყემსთ-მთავრის გარდაცვალებაზედ და მის კეთილ მოღვაწეობაზედ.

* * * ს. საქობო: ორს თებერვალს აქ ბრძანდებოდა მოწვეული მამა არ-

ხიმანდრიტი ლეონიდე დეკანოზის დაბითაშვილის დასაფლავებაზე. ვაი-გორა მამა ლეონიდე გარდაცვალება ძვირფასის მღვდელთ მთავრის გაბრიელისა, მაშინვე პანაშვიდი გარდაიხდა დეკანოზ ბეგიაშვილის, პენაშვილისა და მრავალის სამღვდლოების თანადანსწრებით.

* * * დაბა ხობი, (ზუგდიდის მაზრა): ჩვენ ხობელებიც მეტად შეგვაწუხა ქართველთა სასახელო და სასიქადულო მწყემსთ-მთავრის ყოველად უსამღვდლოების გაბრიელის გარდაცვალებამ. 10 თებერვალს ხობის ნორმალურ სასწავლებლის დარბაზში მღ. ნესტორ სასანიასგან გარდახდნილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ მოსწავლენი ამ სკოლისა თავისის მასწავლებლებითურთ, მთელი ხობის საზოგადოება და აგრეთვე მრავალნი სხვანიც.

* * * იქიდაძვე: მთავრობის ნებართვით ამ წლის პირველ აპრილილამ თითო კვირობით ყოველ წლივ იქნება გამართული იარმუკა დ. ხობში. იარმუკაზედ ყოველ-გვარი საქონლის ვაჭრობა იქნება.

ქ მ რ ხ ს მ ღ მ ე მ ც ი ა.

ს. მ. ზ. ბ. მ. რ. ხ. ს. მ. ღ. მ. ე. მ. ც. ი. ა. (ჭარხისის სეპა), 14 თებერვალს. 18 ანგარამდის ისეთი კარგი დაწყება იდგა აქეთ, რომ ფუხრების სასარგულს საზღვარს არ ჰქონდა. ვისაც ცოტა ჰქონდა საქონლისათვის საკება ზამთრისათვის, იმათი საქონელი თათქმის ტყე მინდარში ბაღასობდა. მაგრამ დადგა თუ არა 18 ანგარა, ეს სასარგული ფუხრებს ცრემლად და გაებად შეეცვალათ. დაიწყო განწყობილად დღე და ღამ თოვს, ასე რომ აგერ სამ კვირასე მეტად რაც ამინდი არ შეეცვალა. ამისთანა განმუდმებულის თოვლასა გამო ჭარხისის საზარას ორი ან შინამდამ საზამდის თოვლი დასდგა; ვერ არ ახსოვთ აქაურს ხნიერს კაცებს ამისთანა თოვლი როდისმე გადაე ყოფილიყოს. წინა წლებში ამ დროს ჭარხისის სეპაში სენ-თესვის თანადრეში ეყენებოდა ფუხრება, თხა, ცხვარი და ძროხა მინდარ-ტყეში დადი-

და ხოლმე და ამითა გაჭირვებულს ხალხს საკმაო შელავათა ჰქონდა, მომეტებით იმთ, ვისაც საქონლის-საკება საკმაო არა ჰქონდა. ადამიანს გული უწუხდება, როდესაც ყოველს მხრით საქონლის ბლავადი მოესმის შიმშილის გამო; მომეტებულს გაჭირვებაში ისეა არაინ, ვისაც წყრად-ფეხი საქონელი ბლავად ჰქონს, შიმშილსაგან ბუკრი ესტობთ.

განდა ამისა სოფელეთ უგლო-უგვლოების გამო ერთმანეთის ნახვა უჭირთ. იმდენად შეწუხებულა ხალხი, რომ წიქვალამდის გზა ვერ გაუთხრია, რომ დაეწყება სიმინდი ქალ-ბაღასის მიწოდება და შიმშილის გამო შეწყდება თანადამ აშორება. დიდადამ საღამომდის ფუხრს სახლის სახურავადამ ვერ ჩამოსულა, რომ გზა გაიკვალას, რადგან ხრეკინის თოვლამ სახლა არ დაინგროს და სახლამ არ ამოუწყვიტოს. სახლებსა და ეზოებში ეგებურთოვს გარბა არა და დამუდგა და იმათში სახლები აღარ-კი მოსახსნან. აი, ამის გამოა, რომ ფუხრას წასქვალამდე გზის გაკეთებაც ვერ მოუხერხებია. მეზობლებადმე მოზობლადმის მისვლა-მოსვლა ხომ გასაქობი შეიქმნა, რის გამოც ერთმანეთის კვლარ შეკლან გაჭირვების დროს. ისე გულ-გატეხილად ამ უმად აქაურს ფუხრას, რომ არა ჰქონათ თუ რაღამე გამოიხარებინ და იმათს გაჭირვებას ბოლო მიუღება. ზეგან სოფელიდამ როგორც იყო ოთხი კაცი ჩამოვიდა თხილამურებით ბორჩხას და კეამბეს, ჩვენს სოფელში ოცდა-შვიდი მტკბეელი თოვლი არის; როგორც ხალხი აგრეთვე საქონელი შიმშილისა გამო ძლიერ შესწუხდნენ.

ამას თაკა დაგანებოთ. ჩვენა საღარდელი ამ უმად ეს არას, რომ აგერ ერთი თვე სრულდება, რაც ბათუმ-ართონის გზა შეიკრა და ფოსტის გამოკეთდა. ამ წლის გაზოთების თათორ-არ-არა ნომრის დიქსი-და გავხდით და დანახენი-კი სად არის და როდის გვეღიანება იმათი მიღება, ალღაჰმა უწყის; ამის გამო დიდად შეწყუხებულა ვართ აქაურები. დიდას თოვლას გარდა ბუკრან ზეგავა ჩამოწვლილი, მეგრე ზოგაერთი ისეთ ალღაგებზე, რომ გზის აჭრევაც ყოვლად მოუხერხებულა. ამ

სურათები მოწაფეთა ცხ. მ. ზ. მ. ბ. ი. დ. მ.
(მოგონება).
(დასარული *)

V
შუა-ღიღ-მარხვის ერთ დღეს, გაავხრებულნი მარხის ტაროსი თავს დასტრიალებდა მთელ ქალაქს. ქუჩებში საშინელი ტალახი ამდგარიყო და ცივი ქარი ცოტა თოვლსაც ურევდა. გარედ არავინა სჩანდა უბინავი-გაგებისა და ღარიბების მეტი. ხმაურობაც თითქოს მიმწყდარიყო, მხოლოდ სასწავლებლის ზარი სამგლოვიაროდ უკრავდა და ცოდვების მოსანანიებლად ხალხს საყდარში იწვევდა.

გულ-საკლავად გმინავდა ეს პატარა ზარი. თითქოს მეტის-მეტი რეკით გვერდები სტკენიო, „ვაი, ვაი“ გაისმოდა და ქარისაგან წამონატაცი ხმა ჭორბლით იფანტებოდა. სასწავლებლის ეკლესია ხალხით გაქვდილიყო. შუადღის ლოცვის ისმენდა. თავ-თავის აღგილას ჩამორიგებული მოწაფენი დაღვრემილი, უბედური გამოიყურებოდნენ, საყდარში შემსვლელ გამომსვლელს ათვალიერებდნენ და ამითი ერთობოდნენ.

*) იხ. „ივერია“ № 40

თვის ხუთს, გზის ინჟენერისაგან იყო განკარგულება, რომ მეშუბა იშოვან და გზაზე თოვლი და ზეგავა გაწმინდონ, მაგრამ მეშუბის შოვნა მწელი შეიქმნა, რადგან, ერთი რომ ფუხრას თავისსა ხალხს ვერ მოჭობებია და, მეორეც აქაურის ქართულ მანქანების რამაზინა (მარხვა).

როგორც ეტყობა, ბათუმის მეყსებულის მდგომარეობაც ვერ არის ამ დროებითი სასტრუქო, რადგან ამ გზაზე აგერ ერთ თვესე მეტად იმათს საქონელს ვერ გაუვლია უგლოების გამო, აქაურმა მენაგებმა ძალიან გააძვირეს საქონლის გადატანა ბათუმიდამ ართონში; ათი შაური, სამი ახალი მიკეთ ფეფთა და ისიც დაღის სეკუნითა და მედარით. ზაფხულში თუ ოთხს დღე-ღეად მიდიოდა ბათუმიდამ ართონს, დღეს თითქმის ერთს კვირას უნდება და ამის გამო ხარჭიც მეტად მოსდით საყვარებში დამის გათეხებით, რადგან ყველაფერი ძვირად ამ უმად.

ბუნდობა არაინ ფუხრები იმათა, რომ აქეთ არავითარა სენა არ მიქინგარებს, როგორც სხვა დროს, თორე თქვენნი დუშმანი, ამოაქვლიტებოდა ხალხი უქვიმო-უწამლობით.

როგორც მოგვსენებთ აქაური ფუხრების ამბავი, თითქმის ნახევარსე მეტადი ნახევადის ჭინჩხულით ირჩენს თავს, რადგან თავისი დედა-მამა-დედადამ სამეოფე არ მოსდის; ასე რომ თითქმის ნახევარი წლის საჩხის კახანდამ უიღებან. ასეა რა-კი გზები შეიკრა, აქიდანაც ვერ მოაქვთ ნამუშევარი და საწყალს ხალხს ცალკე დადი ზამთარი უჭირებს საქმეს და ცალკე ჭინჩხულის უჭირლობას; რამდენს კრახს გაუძლეს ზეგავა ხალხსა?

აქაური რუს-რუმლად მოსაზღვრე დანაჟა ჯარის-კაცებიც მოხსნეს, რადგან თავისს დროსე ადგილზე არ ჰქონდათ საზამთრო სურსათი დამზადებულად. როგორც იქიდან ჩამოსულმა ჯარის-კაცებმა გეამბეს, ორ საყენსე მეტად თურქე სინერზე თოვლი და სახამდის მოხსნადნენ დადი გაჭირვება გამოიარეს თურქე შიმშილით, თუ სიტყვის გამო.

შუა ლოცვა იქნებოდა, როდესაც საყდრის კარი გაიღო და ვასო ფეფენაშვილი შემოვიდა. კარებისაკენ მომზირალმა მოწაფეებმა პირველ შეხედვაზე ვერ იცნეს ფეფენაშვილი. იგი გამხდარიყო, გაყვითლებულიყო, საზაფხულო, გახუნებულ პალტოში გახვეულს სიცივისაგან უფრო მომკვდავის ფერი დასდებოდა, თმა გებურძგნოდა და, საშინელი ჭუჭყიანი, შემოიღოს დამსაგავებოდა.

— ბიჭო, აი ის ჩვენი ფეფენაშვილი არ არის? წასწურჩული ერთმა მოწაფემ მეორეს.

— ჰო, ყრუდ უზასუხა მეორემ და თვლით ანიშნა ნუ მელაპარაკები ზედამხედველი გვიცქერისო.

— ეჰ, ვასო, ვასო, როგორ გახუნებულხარ? მწარედ ჩაიცინა პირველმა ვემ და ლაუმატა: ალბად გასათობობად თუ შემოსულხარ, თორემ აქ რა გინდოდაო!

მართლაც ვასომ გაყინულის ძელების გასათობად შეუხვია საყდარში და ძირილაც რომ არ შესცივროდა ვერც-კი გაბედავდა შესვლას იმიტომ-კი არა, რომ ვისიმე ეშინონოდა, არა, იმიტომ, რომ ათას გვარი მოგონება აღედგროდა. ან-კი როგორ არ მოაგონდებოდა, რომ

ჩნსებუბა სახლებს თოვლამ თაკე არ დახვრიოთ, მანერ ვერს გასდენ და ერთი მანჯარის სახლი და ორიც საბედა მთლად დაქვია თოვლამ. კაცს და საქონელს არაფერი ზინაი არ მისესულიათ, რადგან დღისით მოხდა ეს ამბავი და მალე მიუშველნენ.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავრობისაგან განკარგულება არის, რომ ბათუმიდამ ართონსამდის ფოსტა ნაკით სტარონსანამდის ამ გზაზე ცხენების საკლავი გზა გაკეთდებოდეს. აქნება ღვერთმა გეაშეგლეს და ამ თვეში გეაშეგლეს გასეთებისა და წარბაქების მიღებას? ივ. ჯიანი.

ტფილისის ცხენის რკინის გზის გაშლისათვის.

როგორც ვეწყით, უსახელო საზოგადოებას ცხენის რკინის გზისას 45 წლით აქვს აღებული კონცესიით ცხენის რკინის გზა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობისაგან იმ პირობით, რომ 15 წლის შემდეგ ქალაქის თვით მმართველობას უფლება აქვს გამოისყიდოს იგი ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან, თუ ერთბაშად გადაუხდის წლიურ შემოსავლის კვლობაზე თანხას, რომელსაც ეს წლიური შემოსავალი გზისა, 5% სარგებლად უნდა შემოქმედდეს, და ან ამ წლიურს შემოსავალს კონცესიის ვადის ვასვლამდე ყოველ წლიურად. სწორედ 11 მაისს 1895 წლისას დასრულდა ის 15 წელიწადი, რომლის შემდეგაც ქალაქს ნება ეძლევა, ხელ-შეკრულობის ძალით, თუ მოისურვებს, გამოისყიდოს რკინის გზა. ამის გამო შარშანვე ქალაქის საბჭომ მიანდა ქალაქის გამგეობასა და ცხენის რკინის გზათა მეთვალყურე აღმასრულებელს კომისიას შემეშუავებინათ საქმე რკინის გზის გამოსყიდვისა და ამ საგნის შესახებ თავისი მოხსენება წარედგინათ საბჭოში. შეერთებულმა კრებულმა ქალაქის გამგეობისა და შემოსენებულ კომისიისამ პირველსავე კრებაზედ საბჭოში საკითხი აღნიშნა განახილველად: 1) საქრობა თუ არა ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა, 2) რამდენად სა-

ანუ მელამ სთქვას: „გროზად მიღირს ნე სამართალი მთელის ქვეყნისა, მე არა მაქვს მისი რიღია და საზოგადო მაკარი მსჯავრიც ფეხზე მკიღია!“ აბა, რომელს მხეცს, ანუ ოთხ-ფეხს, ანუ ფრინველსა, ან შინაურსა, ან გარეულს ძვირ-სახელებსა წმიდა წარსული გაუთელავს, შესძულეობა, თავისი ბუდე, ტყე და ველი დავიწყებია? მწყერ-მარხილასაც გულით უყვარს თვისი ჰაობი... თავის ქსელს ეტრფის და ევლებს პატარა ობი... მგელი მგელს არ ჰგლიჯს, როდი სტარცვავს, როდი ატყავებს, ჩვენ-კი ერთმანეთს ქვაზე ტვიანს დავახსმევინებთ, ლუკმის გულისთვის სულს წაუწყემედთ, ამოვთხრით თვალებს და თავ-მოწონეთ ქუჩა-ქუჩა ჩავისეირნებთ!.. საქმეს ვაგუზბით, ბანქოობით დროსა ვატარებთ, ძმას საფლავს ვუქრით და სულის მტერს ვეტრფით, ვახარებთ;

ხან რას ვაქორებთ, ხან რას ვროშავთ, ხან ვის ვწინებთ ცილს; გულს გვიკლავს მოძმის ჩვენ სიკარგი, ბრწყინვალე ბედი, და ვინც რომ აზრობს, უკეთ ფიქრობს, გვიქადის კეთილს, მას ქუჩა-ქუჩა ასამართლებს ვიღაცა ყბედი! ერთი ვიღაცა, საცოდავი ქალი, ობოლი რომ შეაცდინონ — ჯვარზე ვაცვამთ, ყბად ავვიღია, და მუდამ მრუში ქალბატონი, მაგრამ ბობოლი რომ მოგვევლინოს — ყველას სახლის კარი გვაქვს ღია!.. ვინც მდიდარია და ძალუმი — ის არს მართალი... ჰა, ბატონებო, ჩვენი სჯული და სამართალი!.. რაც უფრო მეტად ჩვენს ცხოვრებას მე ვუქვირდები, აღამიანებს პირუტყვებთა ფიქრით ვაძრებ, იმდენად უფრო გულს მიხიბვლენ მე პირუტყვები — და მათს სიყვარულს სასოებით გულში ვატარებ!.. გრ—ა.

სარგებლოა ფინანსის მხრივ და მ) იურიდიულად როგორ უნდა მოხერხდეს იგი.

როგორც შევიტყუეთ, შეერთებული კრებულს უკვე დაუმთავრებია სამივე საკითხის განხილვა და შეუდგენია კიდევ მოსენება საბჭოში წარსადგენად. როგორც ამ მოსენებებშია ხანს, ცხენის რკინის გზა ძალიან ცუდს მდგომარეობაშია თურმე, უსახელო საზოგადოება გულ-ატრუებით ეკიდება ამ საქმეს, ლიანდაგი ბევრ ალაგას დამტკრეულია, ვაგონები დახურული და რიგინი ცოტაა, სულ 79, და ისიც ძველია და განახლება სჭირია, ცხენებიც ცოტა და დიდად უვარგისი, რის გამოც საზოგადოება საკმაო ვაგონებს ვერ აქუზავებს, ცხენის მოსართავი სრულიად არ ვარგა და სხ. ამასთან არც იმედია ამ ნაკლებობებთან აცილებისა, ვინაიდან უსახელო საზოგადოების ადგილობრივი მმართველობა სტდილობს ხარჯი რაც შეიძლება შეამციროს და ამითი შეძლება მისცეს მთავარ-სამმართველოს ბრიუსელში მეტი დივიდენდი აქციის პატრონთა და დაჰაროს საზოგადოების საობლიგაციო სესხი, რომელიც ამჟამად 2,348,400 მან. უდრის. ამისათვის ყოველ საჭიროა ქალაქმა თვით ჩაიბაროს ცხენის რკინის გზა, რადგანაც მაშინ თავს განითავისუფლებს ხელშეკრულობისაგან და ახალ გზების გაყვანასაც შეიძლება, რაც ეხლა ვერ მოუხერხებია, რადგან ხელშეკრულობის ძალით, უსახელო საზოგადოების თანხმობა ამისათვის საჭიროა და ეს საზოგადოება კი აფერხებს ყოველ ამ საგნის შესახებ წინადადებას, რასაც აშკარად ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ თუმცა ქალაქის თვითმმართველობა დიდად მოწადინებული იყო ცხენის რკინის გზა გაეყვანა დიდუბიდან ნავთლუხამდე, მაგრამ აქამდე ვერას ვახდა, ეს სურვილი წინ ვერ წასწია და დღესაც უკვირდა უსარგებლო მიწერ-მოწერა აქვს

ამ საგნის შესახებ უსახელო საზოგადოებასთან. ამავე მოხსენებაში მოკრებილი შემდეგი საყურადღებო ცნობები: უსახელო საზოგადოების ცხენის რკინის გზას 1888 წელს წაუყვან. წამოუყვანია 7,505,087 მგზავრი, 1889 წ. — 7,550,335, 1890 წ. — 7,622,690, 1891 წ. — 7,796,228, 1892 წ. — 7,717,499, 1893 წ. — 7,979,173 და 1894 წ. — 7,921,970. 1890 წლიდან 1895 წლამდე, ხუთის წლის განმავლობაში უსახელო საზოგადოებას წმინდა შემოსავალი ჰქონია 1.189,216 ფრანკი. ამ გვარად ორთა შუა რიცხვით წლიური წმინდა შემოსავალი ჰქონია 237,843 ფრანკი, რაც, ფრანკი რომ კურსის კვალობაზე 37 კაპ. ვინაგარეშით, 88,002 მან. შეადგენს, ხოლო ამ ფულის მომცემი თანხა-კი, 5% ანგარიშით, 1.760,040 მან. მასალამდე, თუ ქალაქის თვითმმართველობამ მოისურვა ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა, უსახელო საზოგადოებას უნდა გარდაუხადოს ან 1.760,040 მან. ერთბაშად და ან 88,002 მან. ყოველ წლიურად კონცესიის ვადის გასვლამდე, ე. ი. 30 წლის განმავლობაში. ყოველ ამ ცნობების შეკრებისა და განხილვის შემდეგ შეერთებულს კრებულს ქალაქის გამგეობისა და კომისიისა დიდად სასარგებლოდ უცვნია უსახელო საზოგადოებისაგან ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა და დაუდგენია, წინადადება შევიტანოთ საბჭოში შეატყობინოს უსახელო საზოგადოებას, რომ ქალაქს ჰსურს გამოსყიდოს ცხენის რკინის გზა. ამ მოხსენებას ამ დღეებში განიხილავს ქალაქის საბჭო.

უცხოეთი

იპაონია. „ფრანკფურტის გაზეთ“-ში სწერია: აქაურს დიპლომატიურს წრეებში ფიქრობენ, რომ კორეს საქმეებს მსწრაფლ გარდასამავალი ხა-

ყო, სამგლოვიარო, სადიდ-მარხვო ტანისამოსი სწორედ რომ შეეფერებოდა მის ჩამომტრიალ სახეს.

გაღებულ აღსავლის კარებიდან მოჩანდა უფროსიც. ესეც დაღვრემილიყო, ხელში ლოცვანი აედო, კრი-ალოსანი მკლავზე გადაედო და გატაცებული ჩასცქეროდა ლოცვანს.

გალობდნ სამგლოვიარო ხმით, დანჯად, მოწყენით.

ტაძარში რაღაც სინანული, რაღაც საიდუმლოება გამეფებულიყო. რომელიმე შეგირდის ხველა ან ჩურჩული და მოწაფთა რიგ შორის შენი შვნის მისაცემად მოსიარულე ზეღამედვლის ხმა თუ დაარღვევდა ხოლომესაერთო დაღადისს.

— უფალო და მეუფეო! მეათედ იმეორებდა მღვდელი და მუხლს იყრიდა.

— უფალო და მეუფეო!.. ოხრაველა მრევლი და ესეც იჩივებდა.

მარტო ვასო იდგა გაშტერებული და მისჩერებოდა: მღვდელს, უფროსს მგალობლებს, ხატებს, მოციმციმე წმინდა სანთლებს. მის გულს არ მიჰკარებია მღვდლის მიერ მოწიწებით წარმოთქმული ევრემ სირიელის შესანიშნავი ლოცვა. რისთვის? ერთხელ ამასაც ხომ უყვარდა ეს ლო-

სიათი როდი აქვს, არამედ მძიმე შედეგი მოჰყვებაო. ამბობენ ლობანოვ-როსტოვსკის ვარემ საქმეთა მინისტრად დანიშნის შემდეგ რუსეთის პოლიტიკამ გაცხარებულად დაიწყო მოქმედებაო. ესლა მეტად კარგი დარი უდგია ამ პოლიტიკას, და ლობანოვ-როსტოვსკი, რასაკვირველია, ისარგებლებს ამ დროითაო. რუსეთს აქვს კარგად გამოკრეული და ძალიან დიდი სურვილები აზიის აღმოსავლეთის შესახებ, ამის ეკვი არავის არა აქვსო. ამიტომაც, რადგან რუსეთს „რეალური წადილი“ აქვს, იმის განხორციელებისაც ეტყობა და უკეთეს დროს როდის-ღაც იშოვის, თუ არ ეხლა. საფრანგეთი მეგობრად ჰყავს, ოსმალეთი დიდი მადლობელია, გერმანიაც რუსეთს მხარს უჭერს, ინგლისს-კი ყველა უკმაყოფილებას უცხადებს. აღმოსავლეთში რუსეთი ჩინეთის „ნამდვილი მეგობარია“, რომელიც მარტო ლაშა სიტყვებში-კი არ იხატება, დიდს ფულსაც ახარჯავს მას. რასაკვირველია რამდენიმე ხნის შემდეგ რუსეთს ასეთი კარგი დრო აღარ ექნება. მართალია, როცა ციმბირის რკინის გზას დაამთავრებენ, რუსეთის მდგომარეობა აღმოსავლეთში კიდევ უფრო გაუმჯობესდება, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ იაპონია გაფაციცებულად ემზადება რუსეთთან საომრად, და ეს ომი მიუტოლებლად უნდა მოხდეს მისი წარმოდგენით. გერმანიისა და საფრანგეთის წყალობით, რუსეთმა განდევნა იაპონელები აზიის ხმელეთიდან. ის სამხედრო ძალა, რომელიც იაპონიასა ჰყავს კორეაში, სუსტია და ახალი ჯარის შემოყვანას-კი რუსეთი არ დაანებებს. იაპონიას შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ესლა რუსეთს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისი მას მხარს მისცემს, მაგრამ ეს ჯერ ჯერობით საეჭვოა. ამიტომაც ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ სულ მალე რუსეთმა მოსთხოვოს იაპონიას ძალიან ზრდილობიანათ—კორეადამ ჯარი გაიყვანეთ, „რადგანაც უამი-

სულის კვეთება ვიცი, ვერ დავიჯერებ ვერა, რომ ეგ გულით მორწმუნე იყო... მე რომ მაგან დამიქვირა, ჩემ ამხანაგებს მიწასთან გასწორება მოუნდომა, განა ასე მოიქცევა ნამდვილი ქრისტიანი? ოხ, თქვე საზოგადოებო! თითქმის ხმა მალა წამოიძახა ვაჰამ, ერთი მაგრა ამოიოხრა და კვლავ ფიქრებში გაება.

„ჩვენი დანიშნულება თქვენი გადაგვარებაა!“ ამ ვაჰოტონმა არ ბრძანა ეს სიტყვები? როგორი თვლები ჰქონდა? თავისს ბარტყულისა, რომ არ შერცხვენოდა იქავე გამაქრობდა. შენ თქვი ბერო! თავი კუბოში *) აქვს და კიდევ გადაგვარებზე ჰფიქრობს. ოხ რა ჯადოქრები არიან?

— უფალო, რომელმან მეცარესა ექმსა!... ვისმა კვლავ გერასიმეს ხმა.

— უფალო, რომელმან მეცხრესა ექმსა!... გაიმეორა ვასოს უკან მდგარმა რუსმა დაიოქა და უადგილობის, ვაჰო ვასოს მუჯლიგუნე წაჰკრა.

— ჰმ... მწარედ ჩაიციხა ვასომ და ამხანაგებს გადახედა. დალაღულდაქანცულმა სამხემ ამხანაგებისამ,

*) ბარტყულა-კუბოს სიმელოა

სოდ ამ მხარეში წესიერების დამყარება არ შეიძლებაო. ასე რომ ეხლა ყოველიფერი იმაზედ არის დამოკიდებული რა პასუხს მისცემს იაპონია და როგორ მოიქცევა ინგლისი. ინგლისის ელჩი, რომელიც ეხლახან დანიშნეს პეტერბურგში, სიჩქარით წავიდა. ეს ამტკიცებს, რომ პოლიტიკური საქმეები სერიოზულ მიმართულებას ღებულობენ.

იტალია. იტალიელთა მდგომარეობას აფრიკაში თან-და-თან რთული ხასიათი ეძლევა და საქმე მწვავედება. შოანელების შემდეგ ახლა დერვიშები გამოდიან სამოქმედოთ. როგორც ამ რამდენიმე დღის წინად მიღებული დებემა ამბობს, 600 თუ 700 შეიარაღებული დერვიში დაჰსხნია თავს იტალიელთა რაზმს კასსალას მახლობლად. იტალიანურს გახეთქებში დაბეჭდილი დაწვრილებითი ცნობები ამტკიცებენ, რომ კასსალას მდგომარეობა ამჟამად უფრო სერიოზულია, ვიდრე მოსალოდნელი იყო, რასაც ამტკიცებს თვით დერვიშთა რიცხვიც, რომელნიც ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ. რაზმს, რომელიც იტალიელთა თავს დაესხა, შეადგენდა 700 ქვეითა ჯარის-კაცი, 500 ცხენოსანი. ამ რაზმმა ბრძოლის დროს 80 კაცი დაჰკარგა და 20-იც ტყვეთა წაიყვანეს. ერთმა ტყვეთაგანმა სთქვა თურმე, რომ ეს რაზმი მხოლოდ ერთს მეთედეს ნაწილს შეადგენს იმ ჯარისას, რომელიც უკვე მზად არის იტალიელთა თავს დაესხასო. ვახეთები ამბობენ, კასსალა საკმაოდ კარგად არს გამოგრებული და 2,500 ჯარის კაცი ჰყავსო; მაგრამ თუ მართალია ის, რაც ტყვეს უთქვამს, მაშინ-კი საქმე გაუჭირდება იტალიელებს, რადგანაც იგინი კასსალას მხარს აუქცევენ, კერძანს მიღწევენ და მასსოვანე მიიტანენ იერიშსაო. მარტო ეს მოსალოდნელი შიში აიძულებს იტალიელებს საკმაოდ ძლიერი რაზმი იყოლიონ ამ ადგილებში, რომ თუ დერვიშნი არაფერს მოახდენენ, მაშინ ეს რაზმი აბესინეთთა წინააღმდეგ

ბრძოლაში მოიხმარონ. როგორც „კორიერიე დელა სერას“-ს კორესონდენტი ამბობს, რომის ოფიციალურს წრეებში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია დერვიშთა თავდასხმის ამბავს.

საზარანგეთი. ამ დღეებში შალონში გამართულ ნაღიმზე სიტყვები წარმოსთქვეს ვაქრობის მინისტრმა მეზიურებმა და მინისტრ-პრეზიდენტმა ბურჟუამ. საყურადღებო იყო მეზიურების სიტყვა. „ჩვენ შევადგენთ მთავრობას, შენიშნა მინისტრმა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ზრუნავს ღარიბთა და მაშვრალთათვის“. ამ ზრუნვამ გამოიწვია კანონ-პროექტები და კანონები მუშათა სასარგებლოთ: სინდიკატებისა, მუშების პენსიებისა, მედიატორეთა სამართლისა და სხვა ამგვართა შესახებ. თავისი სიტყვა მინისტრმა ასე დაამოლოვა: „სამინისტრო, რომელსაც მე ვეკუთვნი, არსებობს ოთხი თვე. მე გითხარით, რაც ჩვენ ამ დროს განმავლობაში გავაკეთეთ; ჩვენ არა თუ ვარსებობთ, დავამტკიცეთ კიდევაც, რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში რადიკალთა კაბინეტსაც შეუძლია მოღვაწეობა. შესაძლებელია ჩვენი კაბინეტი სამსახურიდან გადააყენონ რაიმე შემთხვევის გამო, რაც ხშირად ხდება საპარლამენტო ისტორიაში, მაგრამ მიუხედავად იმისა, ჩვენმა მოღვაწეობამ ნათლად დამტკიცა, რომ რადიკალებსაც შეუძლიათ ქვეყნის მართვა. ქვეყანას თამამად შეუძლია ჩააბაროს მათ უფლება და რადიკალები საფრანგეთის ინტერესებსა და სახელს არაფერს არ დააკლებენ.“

ინგლისი. ლონდონიდან ატყობინებენ „ნოვ. ვრემ“-ს: მას შემდეგ რაც მთავრობამ გამოაქვეყნა „ლურჯი წიგნი“ სომეხთა საქმეების შესახებ, აქაურმა ჟურნალ-გაზეთებმა დაიწყეს რუსეთისა და მისი აღმოსავლეთის პოლიტიკის განკიცხვა; რუსეთმა მისცა ოსმალელებს ხელში ამოსაწყვეტლად აღმოსავლეთის ქრისტიანობაო.

ძალიან კვლავ გაფრინდა ვასო ფიქრებით, მისი სული ყოველთვის მალა მისწრაფვოდა, მაგრამ გარემოება თავში უკაცუნებდა და მით ჯოჯოხეთი იყო მისი ცხოვრება. აი ეხლაც გული მთლად დაეღადრა.

— წავიდე, წავიდე. მეც ხომ ფარსეველი არა ვარ, მე მძაგს ეს ატმოსფერო და ისევ აქ-კი ვდგევარ. ეს, ეს, ზედი ზედ ამოიოხრა ვასომ, ერთი კიდევ გადავლო თვალი ამხანაგებს და გაიყვით გარეთ გამოვარდა.

— უფალო და მეუფეო! უკანასკნელად მოეხმა ვასოს.

— ხოლო სული მოთმინებისა მომამადლე მე! წამოიძახა ვასომ, პალატოს საყლო წამოიკეცა, ხელი ხელში გაიყარა, ქული ჩამოიფხატა და იჩქარებით გაეშურა ქუჩაზედ...

საყდარში-კი ისევ ლოცულობდნენ და უწინდებურათ დაზარული მოწაფენი— ისევ უმაღლურად გამოიყურებოდნენ.

„სტანდარტს“ სწორედ კონსტანტინეპოლიდამ, სომეხთა საქმე და მგონი მთელი აღმოსავლეთის საქმე ხმა ამოუღებლად მიანებაო ეგვრობამ რუსეთს. კონსტანტინეპოლი იმ აზრის არიან, რომ ეგრობის სახელმწიფოები ვერ ჩაერევიან სომეხთა საქმეებში, რადგან მათ შორის ზემო, მაგრამ საშინელი უთანხმოება სუფევსო. საქირაო საერთა შორისო ხელშეკრულებით გამოირკვევს, რა უფლებები მიენიჭა რუსეთს სომეხთა და საფარავადო.

შურნალ-გაზეთთაგან და წიგნებიდან

ამოკრებილი ამბები.

— შარშან ამერიკაში დააბრუნეს ქალებმა მთელს ქვეყნიერებაზე ჯვაროსნული ომი აუტრეტონ ავ-ნებობას და ლოთობას. ჯვაროსანთა—ქალთა მეთაურად არიან ამერიკანელი მანდილოსანი მის ჟილარდი, ინგლისელი ლედი სამერსტ და პოლონელი ელენა მოდესკა. ამათ შეადგინეს მხედრობა 90 ქალისა, რომელნიც ზოგი ჩრდილო-ამერიკელია და ზოგი ეგრობიელი. ჯვაროსნები უნდა მოგროვილიყვნენ ნიუორკში (ამერიკაში), მათ ხელთა აქეთ აღრესი, ხელმოწერილი სამ მილონი მანდილოსანთაგან, თვითვეულ ეგრობის, ამერიკის, აზიის და აფრიკის ხელშეწყობით, თუ მთავარ-მართებულთან. ამ აღრესში მანდილოსნები უშეშდგომლობენ, რომ მიიღონ შესაფერის ზომები ავანგობის და ლოთობის აღმოსაფხვრელად. უმთავრესს ზომად ნახივებია აუკრძალონ გაყიდვ-გამოყიდვა არაყისა და სპირტისა, თამბაქოსი, ოპიუმისა და აგრეთვე ბრძოლა მრუშობის წინააღმდეგ. ერთი წინამძღვარი ამ ჯვაროსნებისა მის ჟილარდი ინგლისში ამხადებდა ვალაშკრებას, შარშან ბევრნი შეიყარნენ ნიუორკში, საცა, მინამ სალაშქროდ წავიდოდნენ, კონგრესი უნდა შემდგარიყო.

ჯვაროსან ქალთა უქირანიათ დიდი ცეცხლის გემი „იმპერატორი ვილჰელმი“ და ამ გემით მოვილიან მთელს ქვეყანას. ყველაზე უფინარეს ინახულენ ჩრდილო-ამერიკის პრეზიდენტს ვაშინგტონში. მერე წავლენ ინგლისს, იქ გამართვენ დიდს მიტინგს და მართმევენ თავის თხოვნას ინგლისის დედოფალს. ინგლისიდან წავლენ საფრანგეთს, ისპანიას, იტალიას, გამოაცხადებენ იტალიის შეფს ჰუმბერტს და პაპს ლეონ XIII. აქედამ გადავლენ საბერძნეთს, მერე ეგვიპტეს და ეგვიპტიდამ იერუსალიმს. ბეთლემს შეიკრიბება დიდი კრებული. მანამდე იერუსალიმის პატრიარხს, წავლენ აქედამ სიამს, ჩინეთს, იაპონიას. აქ ყველაზე უმეტეს ეცდებიან მოსპონ აპკრობა ოპიუმისა, იაპონიიდან დაბრუნდებიან ისევ ამერიკაში. ეს მისვლა-მოსვლა მოინდომებს 90 დღესაო. ბერლინის გაზეთები ამბობდნენ, რომ უფროს-ერთი ქალი ახალგაზდაა თურმე, ლამაზი და მდიდარიო. (5.)

— ბევრს ზო და არას ამბობდნენ მეცნიერნი მასზე თუ—ყავა მარგებელია, მაყინარია თუ არც ერთი და არც მეორე. ესლა მკურნალი დოქტორი გელლიო (ჩიემსილამ) ამტკიცებს, რომ ყავა ისე ნელ-ნელა სწამლავს ადამიანს, როგორც მავარი სასმელები, ალკოგოლიო. ყავა მოქმედებს კუჭზე და საჭმლის მოწილებაზე; ისე, როგორც ალკოგოლი, ყავა იცისა დიდ-დიდით ნაზლის ამოსვლა, გულის-კოვზის ქვეშ ტკივილი, ენის სისხლღე, მოძულემა მავარ საქმლისა და სხვა ამისთანა. თუ გაძლიერდა, გულის ზიდილიც მოსდის კაცს, გულის ძარბება, ბოყინი, სისხლის გაფუჭება. გულის ცემა თანასწორი აღარ არის, მაჯაც მიიმედ-და სცემს. ნამეტანად ის არის, რომ ადამიანი ყავისაგან ძილსა ჰკარავს, ან სულ უძილოა, ან საშინელი სიზმრები ელანდება, თავი ურეტიანდება, ხელ-ფეხის კანკალი მოსდის, ტუჩი და სახე უტოვს, თითქო ფილენჯიაო. ეს კიაო, უმატებს დოქტორი გელლიო, რომ ყავით მოშლილი ადამიანი კვლავ მალე გამობრუნდება, თუ ყავაზე ხელი აიღოვო. (3, ი. ლ.)

— ამერიკელი პასტორი კერალი ერთს ამერიკულს უურნალო სოცარს ამბებს იწერება, იმ დაუჯერებელ და გონება მიუწვდენელ ამბებს, რომელსაც ინდოელი ფაიკრები სხადიან თურმე. 1876 წ. ფაიკრების უფროსს აი რა მოუხდენია ინგლისის სახელმწიფო ტახტის მემკვიდრის პრინც უელსის წინაშე ინდოეთში. სამი ხმალი დაურტყია მიწაში ტარითა ასე, რომ ხლმის წვერი მალა ყოფილა, ზეზე, ფაიკრს ერთის თავისის ამხანაგისათვის შეულოცნია ასე, რომ სულ გაუყუჩებია, თითქო გააშეშაო. ამ სახით აუღია და ხლმის წვერებზე გაუდგია. მერმე ამოუთხრია გარშემო მიწა ხლმების ძირში, ხლმები წაქცეულან და ხლმებზე ზედ-გადებული კაცი ისევ ისე დარჩენილა ზეზე ჰაერში რამდენიმე წამი, არაფერზე არ დანდობილი. მეორეჯერ იმავე ფაიკრს შეულოცნია ერთის ახალგაზდა ზულუსისათვის ასე, რომ მთლად გაუშეშებია, დაუსვამს მიწაზე, ერთ ხელეურ ბალახებისათვის წაუკიდებია ცეცხლი და ეს ანთებული ხელეური მიუტანია და შელოცვისის თავზე უტრიალებია. იმავე წამს გაშეშებული ზულუსის, როგორც იყო ისე, ზე-აწეულა მიწიდან რამდენსამე გოჯზე და ამ სახით ჰაერში ხან აქედ გაკურებულა ჯდომელა ხან იქით იმის და გვარად, საითაც ფაიკრი გაიშვრდა ხელს, რომელ შიაც ანთებული ბალახი ეჭირა.

ორივე ეს სასწაული მოახდინა თურმე აუარებელ ხალხში, დღის სინათლეზე და უარა-რაოდ, არაფერი მხადება, არაფერი მოწეობა ლობა არავის არ შეუნიშნავსო. არა ნაკლებ სოცარს ამბავს იუწყება საფრანგეთის მოგზაური ჟაკოლიო. ფაიკრმა ჩემ თვალწინა შეულოცა და ჩააძინა ერთი ინდოელი ქალიო. დავგვირდა, რომ რაც გინდ ჩაიფიქრეთ და რა ვნახედაც გნებავთ და ის ქალი ჩაიფიქრებულს გეტყვიოთ იმ ვნით, რა ვნითაც ჩაიფიქრებოთ, თუნდ ის ენა არც-კი გაეგონოს თავის დღეში ქალსაო. მე გულში გავისხენე ჰომეროსის ლექსი ილიადიდან ბერძნულადო. ინდოელ გლეხის დედა-კაცმა, რომელსაც არც-კი ვაუგონია არის სადმე ბერძენი და ბერძნული ენა, შეუშლულად, უნაკლულად და მკაფიოდ განიმეორა ბერძნულად ჩემგან ჩაიფიქრებული ბერძნული ლექსი ჰომეროსისაო. „ათასი სხვა ამისთანა მართალი ამბავი შესაძლოა კაცმა მოიყვანოს, ამბობს მეცნიერი მორა, და საკვირველი ის არისო, რომ ყოველს ამას ფაიკრები სხადიან არა ფარდებით და რაღაცებით მომხადებულ ოთახში, არა ღამით და სიბნელეში, არამედ დღისით შინ, თუ გარედ ყოველის კაცის თვალის წინაშე. დარიბ-დატაკი ფაიკრი, რომელიც მთელს თავისს სიცოცხლეს ცარიელ ქვაზე ატარებს, აცვიფრებს თქვენს გონებას, ამისთანაებს რომ აჩვენებს, ვინ იცის, რა გაუგებარი საიდუმლოებაა ყოველ ამში, მაგრამ ცხადიკია, რომ შესაძლებელია ადამიანისათვის ყოველივე ამის ქმნა, მხოლოდ ევროპელს ჯერ ამ შეძლებამდე არ მიუღწევიაო“. (5.)

საპარტიალოს თავადნი.

თავადნი ფავლენიშვილნი. თავად ფავლენიშვილთა გვარეულობა აღნიშნულია ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის კრეკლე II-ის 1783 წელს რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატს აქვს შედ დაწოულიო.

6 დეკემბერს 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა სიაში აღნიშნულია აჩან თავადნი ფავლენიშვილნი და ჩამოთვლილია 19 ოჯახსაბა.

უმართებულესის სენატის დადგინებებით 21 მარტს 1854 წ., 27 მარტს 1857 წ., 12 მარტს 1858 წ., 20 სექტემბერს 1861 წ., 17 ანკარს 1862 წ., 16 თებერვალს და 20 სექტემბერს 1872 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი ფავლენიშვილნი: 1) გვადამირ ლუარსაბას ძე; 2) სრქაზო, რომანოზ და კოსტანტინე იესეს ძე; 3) დავით და დამიტრი ალექსანდრეს ძენი; 4) ალექსანდრე დამიტრის ძე; 5) კასილი ოსკუას ძე; 6) ალია გვარს ძე და 7) კასილი ოსკუას ძე.

რა. მრავალი ზარბაზნი მიუტოვე-ბით იტალიელთ ბრძოლის ველზე. ჯაშუშებს უღალატნით იტალიელებისათვის.

დეკემა

(რუსეთის დეკემბრის საგვეტოსაგან).

19 თებერვალი.

ავტორიტეტი. გენერალ-ადიუტანტის ჩერევის გვამი შემურვეს და 20 თებერვალს მუხის კუბოში ჩასვენეს. დილის პანაშვიდზე დაესწრნენ: იმპერატორი, იმპერატრიცები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდი მთავრები და დიდი მთავრინები. გარდაცვალებულს გაასვენებენ კოტრომის გუბერნიაში საკუთარს მამულში, რომელსაც სტრასბურგიდამ ჩამოვა განსვენებულის ქალიშვილი.

სოფია. მთავრის რესკრიპტის ძალით პრინცის ბორისის აღმზრდელ-მოდღრათ დანიშნა მოსკოვის სასულიერო აკადემიის მოწვევით ნამყოფი და ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტის სტუდენტი არხიმდრიტი ვასილი.

მასკოვა. იტალიის ჯარების ბანაკიდან დეკემბრით იტყობინებინ, რომ 18 თებერვალს გენერალმა ბარატეიმ მთელის თავის ჯარებით იერიში მიიტანა აბესინელზე. აბესინელი მედგრად შეხედენ იტალიელთ და უკანასკნელი იძულებული გახდნენ პირი ებრუნათ; ზარბაზნები აბესინელთ ჩაუვარდათ ხელში. ჯერ არ მოსულა ცნობები თუ რამდენი კაცი დააკლდა იტალიელებს. ბარატეიმ დაიწია ბელეზსაკენ.

21 თებერვალი.

პარისი. მადრიდში პოლიციამ აუკრძალა ხალხს სიარული იმ ქუჩებში, რომლებსაც ამერიკის საელჩოსაკენ მიჰყავთ გზა.

ბერლინი. იტალიელ ჯარების დამარცხების ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქ. იტალიის ფასიანი ქაღალდები დაცვა როგორც აქ, ისე სხვა სახელმწიფოთა ბირჟებზედაც.

რომი. ვაზეთების აზრით, იტალიელთა დამარცხება იმისი ბრალია, რომ ბარატეის ჰსურდა გენერალის ბალდისერის მისვლამდე როგორმე გაემარჯვნაო. საექსპედიციო კორპუსის გაქირვებული მდგომარეობა დიდს მხერობას თხოულობს როგორც მთავარ-სარდლისა, ისე მთავრობის მხრივ.

რომი. დღეს, საღამოთი, ჩამოვიდა მეფე ნეპოლიდამ, მეფეს მინისტრნი დაუხვდნენ; ხალხი ილტაცებით მიეგება თავის მეფეს. ვაზეთები ამბობენ, მხარე უთუოდ სიმაგრეს გამოიჩინსო. იტალიელ ჯარების რიცხვი 15,000 თურმეათის სამთო ბატარეით. გენერალი ბალდისერა ზვალ მივაო მასკოვას.

მილანი. იტალიელთა და აბესინელთა ბრძოლამ ადუაში ექვსს საათს გასტანა. ბრძოლაში 15-ათასოვანი ჯარი იღებდა მონაწილეობას თავისის სამოც ზარბაზნითაო. როგორც წმა ისმის ბარატეირი დაუპირით ამ ომში დი კიდევ მომკვდა-

ბრძოლაში ზარბაზნი მიუტოვე-ბით იტალიელთ ბრძოლის ველზე. ჯაშუშებს უღალატნით იტალიელებისათვის.

გვეტოსი.	გვეტოსი.	გვეტოსი.	გვეტოსი.
მან. კ.	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ზეთ-მანეთიანი ოქრო. 5%	7,50	—	—
მომგებანი გირანობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურთა ბანკისა	—	—	218 1/2
4 1/2% გირანობის ფურცლები იმავე ბანკისა	—	—	100 3/8
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურთა ბანკისა	100 1/2	—	—
5% იმავე ბანკისა	99	—	—
6% ტფილისის სათავად-აზნაურთა ბანკისა	100 1/2	—	—
5% იმავე ბანკისა	99	—	—
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრებულო საზოგადოებისა	98 1/2	—	—

განსჯალბანი

ბირეული კერძი სამკურნალო ექიმის ნავასარდანიასა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა.

დილაობით: ბ. ა. ნაგასარდანი. 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულბანი სახირურგო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩაქვანი. 9—10 საათ. სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ქ. ქადა ბ. ო. დუნაგა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულბანი: დელათა სქესისა და ბავშვებისა.

ო. ჭ. ზარბაზნაძე. 12—1 საათ. სნეულბანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ბ. მ. შუგინაძე. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ბ. შ. კანაბუტანტი. 1—1 1/2 საათ. სნეულბანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით: ო. ფ. ზარბაზნაძე. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. მ. შუგინაძე. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. გ. გურგო. 6—7 საათ. სნეულბანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. გ. გურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი რუბრი; ფასი კონსილიუმისა და მკურნალებისათვის—მორიგებით, სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამედიცინო დოქტორი მუდინისა ნავასარდანი. (7.)

ბილის ექიმი

სოლოლაქზედ, საკუთ. სახლებში № 14—16 ავადმყოფებს მიიღებს: დღით 10-დან 2 საათამდე. საღამოთი 4-დან 6 საათამდე. კვირა-შაბე დღეებში დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166—1891—80).

ბიბლიოთეკა-სამკითხველო

სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა კავკასიაში, სერგოევის ქუჩაზე, აღიხანოვის სახლში № 16, გახსნილია დილის 9—2 საათ., საღამოს 5—8 საათ., კვირა და უქვე დღეებით დილის 9—12 საათ. შეიძლება წიგნებისა და ჟურნალების წაღება სახლში. პირობა: წელიწადში 4 მ. თვეში—40 კ., თითო შემოსვლა—2 კ. არის განყოფილება ბიბლიოთეკისა კავკასიისა და აღმოსავლეთის შესწავლისთვის. სამკითხველო იღებს გაზეთებს და ჟურნალებს: 1, „Бирж. Вѣд.“, 2, „Вопр. филос. и псих.“, 3, „Вѣстн. Иностр. Литер.“, 4, „Вѣст. Евр.“, 5, „Восп. и Об.“, 6, „Всем. Иллюст.“, 7, „Басний“, 8, „Книжки Недѣли“, 9, „Лучь“, 10, „Моск. Вѣд.“, 11, „Мирь Божий“, 12, „Новости“, 13, „Нов. Вр.“, 14, „Нед.“, 15, „Нива съ прил.“, 16, „Нов. Сл.“, 17, „Нов. Печ.“, 18, „Петер. Жизнь“, 19, „Русс. Вѣд.“, 20, „Рус. Л.“, 21, „Рус. Ар.“, 22, „Сѣв. Вѣст.“. ავადმყოფობა: 23, „Кавк.“, 24, „Нов. Об.“, 25, „Тиф. Лист.“, 26, „Кав. Сельс. Хоз.“, 27, „ივერია“. სომეხობა: 28, „Мшакъ“, 29, „Арძ.“, 30, „Норъ-даръ“, 31, „Таразъ“, 32, „Агнюръ“, 33, „Мурчъ“, 34, „Араратъ“, 35, „Базм.“, 36, „Ант. Асис.“, 37, „Айр.“, 38, „Шавиგъ“, 39, „Цахикъ“. (8—5.—1)

ახალი წიგნები.

ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა: დუკმა ზურის ამბავი, ანუ აღწერა კაცის ავბულებისა, თხზულება მასესი, თარგმანი 5. ავლიშვილის მიერ. ფასი . . . 60 კ. ბავშვების მოვლა, კომპისა, თარგმანი ვასილი მაჩაბლის მიერ. ფასი 40 კ. მაცხვიტია, რომანი ანტ. ფურცელაძისა ფასი 40 კ. აბატი ვეტრე ხარისჭარა. შვილი, ზ.—ქ—სა ფასი . . . 15 კ. ლექსნი თქმული მ. ბოჭორიძისა, ფასი 5 კ. 10—1

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.

ალ-გაჰვად-ხანის შემოსევა ქ. ტფილისში, თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ. ორ-გალიანისა. ფასი 25 კაპ. იყიდება ამხანაგობის სკოლაში.